საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ჯილდოს მიმღები პირის სახელის მინიჭება. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ვებ გვერდის გაცნობისას https://di.gov.ge/ ვკითხულობთ, რომ 2014 წელს, მას მიენიჭა გამოჩენილი ქართველი დიპლომატის, ლევან მიქელაძის სახელი. ამასთან, ვებ გვერდზე მოცემულია საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის/ მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის გულთბილი სიტყვები მისდამი - რაც მის მიმართ დატოვებული პროფესიული/ კარიერული ამაგითაც შეიძლება აიხსნას[1]. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე ბიოგრაფიული ლექსიკონის ნაწილში[2] ვკითხულობთ, რომ 2016 წელს[3] მინიჭებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი


di.gov.ge/levan-mikeladze-the-leader/

ევან მიქელაძე – გზის გამკვალავი

[illegible]

[illegible]

[illegible]

(გარდაცვალების შემდეგ), ორი წლის შემდგომ რაც კვლევით ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა. ამასთან, დავინტერესდი რა უფრო კონკრეტული არგუმენტაციით თუ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული მიზეზი თუგინდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ (აღარაფერს ვამბობ - წინა საუკუნეში მოღვაწე ქართველი სახელმწიფო მოხელეებს[4]) პერიოდში სხვა ქართველი წარჩინებული და სახელოვანი დიპლომატებისგან/ საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებისგან (ალ. ჩიკვაიძე, გ. ჩარკვიანი, ალ. რონდელი, ლ. ალექსიძე და ა.შ.) გამორჩევისა, დიპლომატიური კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტისგან არგუმენტაცია ვერ მოვიპოვე (თან ერთვის 04/43023 19.12.2023 წერილი), არ წარმოადგენდა რა იგი საჯარო ინფორმაციას[5].

⇨ იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია: საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის/ მათ შორის მისი რომელიმე დანაყოფისათვის ვინმეს სახელის მინიჭებისათვის სამართლებრივი მოთხოვნების არ არსებობა.

ვერ მოვიძიე ის სამართლებრივი აქტი, მითუმეტეს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ზემოხსენებული საკითხის რეგულირებას გვთავაზობს. შესაბამისად - ინიციატივით განსაზღვრული საფუძვლის რეგულირება სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონით (მასში ცვლილებების შეტანით) განვიზრახე. ამ საკითხის დამუშავების პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან №9187 19 / დეკემბერი / 2023 წ წერილით ასევე მოპოვებული იქნა სახელმწიფო ჯილდოების სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით გადაცემული სახელმწიფო ჯილდოების შესახებ) და საერთო ჯამი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის პერიოდში 27460 ჯერ იქნა გადაცემული, რაც ვფიქრობ ცოტა არ უნდა იყოს. ჩემს მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას კი წარმოადგენს - საბიუჯეტო დაწესებულებას ვინმეს სახელის მინიჭება ხორციელდებოდეს მხოლოდ იმ პირთგან:

- რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მიღებული აქვთ სახელმწიფო ჯილდო (შესაბამის დარგში/ სფეროში - განათლების სფეროში მოღვაწე პირის სახელი იმ ორგანიზაციას, რომელიც საგანმანათლებლო პროცესთან არის დაკავშირებული და ა.შ.) ან

---

[4] ზურაბ ავალიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე

5 სზაკ-ის თანახმად, საჯარო ინფორმაცია განიმარტება, როგორც ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

- რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე გააჩნდათ განსაკუთრებული წვლილი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და გაძლიერებაში ან/და რომელთა სახელები დადებითად არის დამკვიდრებული კაცობრიობის ისტორიაში.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების შესახებ საქართველოს კანონს დაემატოს მე-6 პრიმა მუხლი (სახელმწიფო ჯილდოს მატარებელი პირის სახელის მინიჭება), რომელიც დაარეგულირებს ზემოხსენებულ საკითხს, მაგალითად შემდეგი ფორმით:

- სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებას ან მის ერთეულს შესაძლებელია მიენიჭოს მხოლოდ იმ პირის სახელი, რომელსაც შესაბამის დარგში/ სფეროში მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო ან/და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე შეიტანა განსაკუთრებული წვლილი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და გაძლიერებაში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted]
მობ.: [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

04/01/2024

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№9187
19 / დეკემბერი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელექტრონული ფოსტა:
[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 14 დეკემბრის N1/15669 განცხადების პასუხად, დანართის სახით გეგზავნებათ სახელმწიფო ჯილდოების სტატისტიკური მონაცემები საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით გადაცემული სახელმწიფო ჯილდოების შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი
ანგი ხუციშვილი

სახელმწიფო ჯილდოების დასახელება	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2003 - ბურჯანაძე	2004 - ბურჯანაძე
ეროვნული გმირის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დავით აღმაშენებლის ორდენი	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-
ოქროს საწმისის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	1	4	1	2	3	-	-
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი	1	59	69	10	1	2	6	5	1	8	5	2	-	-
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი	1	19	96	23	11	5	24	13	22	12	31	44	-	1
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი	-	231	243	167	39	56	101	78	96	48	88	90	2	4
ღირსების ორდენი	-	60	25	73	227	407	841	1165	1166	954	963	1212	4	3
მედალი "მხედრული მამაცობისათვის"	-	512	437	214	106	99	42	182	175	112	171	159	3	11
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის"	-	340	94	81	24	24	27	162	129	67	101	111	-	15
ღირსების მედალი	-	64	62	53	181	366	699	984	654	598	700	695	-	-
თამარ მეფის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა ნიკოლოზის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის"	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამი	2	1285	1026	621	589	960	1740	2590	2247	1800	2061	2316	9	34

სახელმწიფო ჯილდოების დასახელება	2004	2005	2006	2007	2007 - ბურჯანაძე	2008 - ბურჯანაძე	2008	2009	2010	2011	2012	2013	2013 - მარგველაშვილი
ეროვნული გმირის ორდენი	2	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	11	-
წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი	-	1	1	4	-	-	11	10	6	7	4	30	-
დავით აღმაშენებლის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-
ოქროს საწმისის ორდენი	-	-	-	2	-	-	3	9	5	1	7	2	-
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი	1	25	1	7	-	-	43	45	41	25	14	57	-
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი	21	-	5	16	58	-	89	24	48	8	21	11	1
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი	68	15	10	14	-	33	212	49	40	24	46	88	-
ღირსების ორდენი	89	110	99	142	8	-	149	192	219	426	1492	1315	-
მედალი "მხედრული მამაცობისათვის"	158	49	220	10	2	-	268	94	41	59	57	1	-
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის"	131	-	-	-	-	-	71	6	-	79	47	12	16
ღირსების მედალი	47	73	55	89	11	-	132	36	43	185	951	167	-
თამარ მეფის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	39	-
ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	55	35	43	153	-
წმინდა ნიკოლოზის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	20	-
მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის"	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	104	-
ჯამი	517	273	391	284	79	33	978	465	500	850	2682	2012	17

სახელმწიფო ჯილდოების დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2018 - ზურაბიშვილი	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ეროვნული გმირის ორდენი	-	1	-	1	2	-	1	1	2	1	15	39
წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი	25	1	-	-	-	-	-	-	-	-		100
დავით აღმაშენებლის ორდენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		3
ოქროს საწმისის ორდენი	9	5	7	3	1	-	2	-	7	4		78
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი	37	1	-	6	34	-	4	1	-	10		521
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი	5	-	19	26	56	-	5	12	-	26		753
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი	8	3	9	54	21	-	8	-	-	7		1952
ღირსების ორდენი	17	48	42	39	79	-	9	20	16	2	2	11615
მედალი "მხედრული მამაცობისათვის"	15	13	1	4	13	-	10	4	8	2		3252
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის"	1	1	-	-	1	-	-	-	-	-		1540
ღირსების მედალი	2	55	1	5	13	-	26	8	30	32	27	7044
თამარ მეფის ორდენი	-	1	-	-	-	-	1	-	8	1		51
ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი	4	5	7	2	35	-	5	2	3	7	1	357
წმინდა ნიკოლოზის ორდენი	-	1	-	1	1	-	-	-	1	-		24
მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის"	3	7	-	-	1	1	2	1	2	10		131
ჯამი	126	142	86	141	157	1	73	49	77	102	45	27460

1992 - 2003	17,237
2003 - 2008	155
2004 - 2013	8,952
2014 - 2018	769
2018 __	347

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№9184
19 / დეკემბერი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელექტრონული ფოსტა:
[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 15 დეკემბრის N1/15674 განცხადების პასუხად ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სსიპ - საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.
(იხ. ბმული https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3925611?publication=3).

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
თეა დარსანია

ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 04/43023

19.12.2023

43023-04-2-202312191201

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

პ/ნ [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 9 დეკემბრის N46623/04 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის სალექციო კურსების ან/და სასერტიფიკატო გამოცდის ფარგლებში გამოყენებული და გამოსაყენებელი სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს გიგზავნით ამავე წერილის დანართის სახით.

რაც შეეხება წერილის მეორე პუნქტში ასახულ შეკითხვას დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტისათვის ლევან მიქელაძის სახელის მინიჭების არგუმენტაციასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, იგი არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

ირინე დახუნდარიძე

დირექტორი

სსიპ საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოები

10 მაისი 2016

საქართველოს კანონმდებლობით, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად დაწესებულია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები და მედლები. დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ჯილდოები და ორდენები გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ასევე შესაძლებელია დაჯილდოვდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულია შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები, რომლებთან ერთად ასევე გაიცემა გარკვეული ოდენობის ერთჯერადი ფულადი პრემია:

ა) ეროვნული გმირის ორდენი - 10 000 ლარი
ბ) წმიწდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი - 6 000 ლარი
გ) დავით აღმაშენებლის ორდენი - 4 000 ლარი
დ) თამარ მეფის ორდენი - 1 000 ლარი
ე) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი - 1 000 ლარი
ვ) წმიწდა წიკოლოზის ორდენი
ზ) ოქროს საწმისის ორდენი
თ) ვახტანგ გორგასლის I ორდენი - 2 000 ლარი
ვახტანგ გორგასლის II ორდენი - 1 000 ლარი
ვახტანგ გორგასლის III ორდენი - 600 ლარი
ი) ღირსების ორდენი - 600 ლარი
კ) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის" - 1 000 ლარი
ლ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის" - 400 ლარი
მ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის"
ნ) ღირსების მედალი

2016 წლის 21 იანვარს IDFI-მ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმართა 2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოების (ორდენები და მედლები) შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნით. ადმინისტრაციიდან მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ სულ გაცემულია 11 595 სახელმწიფო ჯილდო, საიდანაც ყველაზე მეტი - 5525 იყო ღირსების ორდენი, 2541 - ღირსების მედალი, ხოლო 1160 - მედალი მხედრული მამაცობისთვის.

სიახლეები

ისევ თვითმმართველობასთან დაკავშირებით
28.12.2023

რას გვასწავლის PISA-ს 2022 წლის შედეგები?
26.12.2023

სამედიცინო დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსება
22.12.2023

პრობლემური ანტიკორუფციული რეფორმა: ვენეციის კომისიის შეფასებები და ევროინტეგრაციის პროცესი
21.12.2023

განცხადებები

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის" საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციასა და დეზინფორმაციის მიმართულებით ახალ დათქმას ეხმაურება
10.11.2023

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისიას

აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო ჯილდოების გაცემის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის უკანასკნელი წლები. 2012 წელს გაიცა 2681 სახელმწიფო ჯილდო, 2013 წელს კი - 1926. 2013 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ უხვად გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ისეთი ჯილდოები, რომლებიც წინა წლებში ან საერთოდ არ გაცემულა ან გაიცა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში. მაგალითად, 2013 წელს გაიცა 11 ეროვნული გმირის ორდენი, 30 წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი, 2 დავით აღმაშენებლის ორდენი, 39 თამარ მეფის ორდენი, 157 ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, 20 წმინდა ნიკოლოზის ორდენი და 56 ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი.



2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოები
www.idfi.ge

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ეროვნული გმირის ორდენი		2						2			11		1
წმ.გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი			1	1	4	11	10	6	7	4	30	25	1
დავით აღმაშენებლის ორდენი											2		
თამარ მეფის ორდენი									1		39		1
ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი								55	35	43	157	4	5
წმ.ნიკოლოზის ორდენი											20		1
ოქროს საწმისის ორდენი	3				2	3	9	5	1	7		9	5
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი	2	1	25	1	7	43	45	42	25	13	56	37	1
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი	44	22	5	5	74	89	24	48	8	21	12		
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი	92	72	15	10	14	245	49	40	24	46	88	8	3
ღირსების ორდენი	1216	92	110	99	150	149	192	219	426	1492	1315	17	48
მედლით „მხედრული მამაცობისთვის"	162	169	49	220	12	268	94	41	59	57	1	15	13
მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის"	111	146				71	6		79	47	28	1	1
ღირსების მედალი	695	47	73	55	100	132	36	43	185	951	167	2	55
სულ	**2325**	**551**	**278**	**391**	**363**	**1011**	**465**	**501**	**850**	**2681**	**1926**	**118**	**135**

IDFI ასევე დაინტერესდა, თუ ვისზე გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ჯილდოები. ამის გასარკვევად, ორგანიზაციამ მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას 2003-2015 წლებში ზემოხსენებული ორდენებით დაჯილდოებულთა სახელობითი სიის მოთხოვნით. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნაც სრულყოფილად დააკმაყოფილა.

02.11.2023
ხელისუფლება მოსამართლეებისა და ყოფილი პროკურორის სანქცირებაზე არ რეაგირებს
30.10.2023
ვეხმიანებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ლევან ნემსაძის კენჭისყრის პროცესს
18.10.2023
ბლოგპოსტები
რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოწვევები
05.10.2023
ენერგეტიკული სიღარიბე და დანაშაული საქართველოში
05.10.2023
საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უმუშევრობის დონე
05.10.2023
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარე კონვენციის განვითარების პროცესი და

ძირითადი
პრეცედენტები
29.09.2023

ეროვნული გმირის ორდენი

საქართველოს ეროვნული გმირის წოდება არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო წოდება, რომელიც ენიჭება პირს ქვეყნისთვის განსაკუთრებული, გამორჩეულად გმირული საქციელის ჩადენისთვის. ეროვნული გმირის წოდების მინიჭებასთან ერთად პირს გადაეცემა ეროვნული გმირის ორდენი. 2003-2015 წლებში ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოვდნენ:

***2004 წელი** - 2 პირი - ჟიული შარტავა და ზაზა დამენია*
***2010 წელი** - 2 პირი - ჯონ მაკკეინი და ლეხ კაჩინსკი*
***2013 წელი** - 11 პირი - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, ზურაბ იარაჯული, გიორგი ანწუხელიძე, ამბროსი ხელაია, ექვთიმე თაყაიშვილი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გრიგოლ ფერაძე, გიორგი მაზნიაშვილი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გიორგი კვინიტაძე.*
***2015 წელი** - 1 პირი - მარიამ (მარო) მაყაშვილი*

წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი

წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გაიცემა საქართველოსთვის მოპოვებულ გამარჯვებებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

2003-2015 წლებში ამ ორდენით დაჯილდოვდნენ :

***2005 წელი** - 1 პირი - ჯორჯ ბუში (უმცროსი)*
***2006 წელი** - 1 პირი - ჯონ მაკკეინი*
***2007 წელი** - 4 პირი - ირაკლი ქუთათელაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ვალდას ადამკუსი, ლეხ კაჩინსკი*
***2008 წელი** - 11 პირი - ერეკლე კოდუა, ვლადიმერ გურგენიძე, ვახტანგ კიკაბიძე, გიორგი მებონია, ზურაბ ფოჩხუა, მამუკა გვასალია, ონისე ქისტაური, ავთანდილ ლომიძე, ნიკოლოზ ძებნიაური, შალვა ჯანაშვილი, გიორგი მარგიანი*
***2009 წელი** - 10 პირი - ვალდის ზატლერსი, ვიქტორ იუშჩენკო, ვიტაუტას ლანდსბერგისი, რონალდ ასმუსი, ჯონ ფრენსის ტეფტი, პეტრას ვაიტიეკუნასი, ჯოზეფ ბაიდენი, ელდარ შენგელაია, დევი ქანკოტაძე, დავით ნაირაშვილი*
***2010 წელი** - 6 პირი - დავით ახალია, დავით ჩხარტიშვილი, რიჩარდ ჰოლბრუკი, ვანო ხუხუნაიშვილი, ტოომას ჰენდიკ ილვესი, მარტ ლაარი.*
***2011 წელი** - 7 პირი - ჯოზებ ლიბერმანი, ქშიშტოფ ლისეკი, ვაცლავ ჰაველი, ნიკოლა სარკოზი, ალექსანდრე ლომაია, ანრი დე რენკური, მათიას იორში*
***2012 წელი** - 4 პირი - ანდრის ბერზინში, რამაზ ნიკოლაიშვილი, ივანე მერაბიშვილი, გიორგი კარბელაშვილი*

2013 წელი - 30 პირი, მათ შორის: დავით ბაქრაძე, ალექსანდრე ხეთაგური, ანდრო ბარნოვი, კახა ბენდუქიძე, გიორგი პაპუაშვილი, კონსტანტინე კუბლაშვილი, ნიაზ დიასამიძე, დავით ბეჟუაშვილი, ილჰამ ალიევი, გელა ჩარკვიანი

2014 წელი - 25 პირი, მათ შორის: ზურაბ ჟვანია და აზა ადამია

2015 წელი - 1 პირი - დავით სერგეენკო

დავით აღმაშენებლის ორდენი

დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირები, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისთვის.

2003-2015 წლების განმავლობაში ეს ჯილდო გაიცა მხოლოდ ორჯერ. . იგი გადაეცა გიორგი უგულავასა და ლევან ვარშალომიძეს.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N10/11/01 2013 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოვდნენ.

გიორგი უგულავა - ქ. თბილისის მერი

ლევან ვარშალომიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე.



თამარ მეფის ორდენი

თამარ მეფის ორდენით ჯილდოვდებიან ქალები ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

2003-2015 წლებში თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდნენ:

2011 წელი - 1 პირი (ლამარა ჭყონია)
2013 წელი - დაჯილდოვდა 39 პირი, მათ შორის: ეკა კვესიტაძე, მაია ასათიანი, ნანა ჟორჟოლიანი, ინგა გრიგოლია, ნინო შუბლაძე, ხატია ბუნიათაშვილი.
2015 წელი - 1 პირი (ირინე ენუქიძე).

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 31/10/04 2013 წლის 31 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით
დაჯილდოების შესახებ

ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ:

თამარ მეფის ორდენით:

ნანა ჟორჟოლიანი - ჟურნალისტი, გადაცემა „ნანუკას შოუს ავტორი" და წამყვანი.
ხატია ბუნიათიშვილი - პიანისტი

მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N04/11/03 2013 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ:

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით:

აკაკი გოგიჩაიშვილი - ჟურნალისტი.

თამარ მეფის ორდენით:

მაია ასათიანი - ჟურნალისტი, გადაცემა „პროფილის" ავტორი და წამყვანი.

მიხეილ სააკაშვილი

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი ენიჭება კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში გამორჩეული მიღწევებისთვის და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისთვის.

2003-2015 წლებში ამ ორდენით დაჯილდოვდნენ:

2010 წელი *- სულ დაჯილდოვდა 55 პირი, მათ შორის: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, გურამ დოჩანაშვილი, ილიკო სუხიშვილი, დავით დარჩიაშვილი, როლანდ ახალაია, მამუკა ხაზარაძე, ნინო ანანიაშვილი, ნანი ბრეგვაძე, პაატა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, ვლადიმერ გურგენიძე, ნიაზ დიასამიძე, ირაკლი ეზუგბაია, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ეკატერინე ზღულაძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, ნინო სუხიშვილი, ილია სუხიშვილი, ჯემალ ქკუასელი.*

2011 წელი *- სულ დაჯილდოვდა 35 პირი, მათ შორის: იგორ კოკოშკოვი, გიორგი ნიჟარაძე, გელა ჩარკვიანი, ჯეიმს რიჩარდ დიქსონი, ნინო ქათამაძე, თამარ კოვზირიძე, სერგი კაპანაძე, რაფაელ გლუქსმანი, კახა ბაინდურაშვილი, გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, ვიქტორ იუშენკო.*

2012 წელი *- სულ დაჯილდოვდა 43 პირი, მათ შორის: ზაზა კორინთელი, გიორგი უშიკიშვილი, დავით გოგიჩაიშვილი, დონალდ ტრამპი, თემურ იაკობიშვილი, ლევან ვარშალომიძე, ცეზარ ჩოჩელი.*

***2013 წელი** - სულ დაჯილდოვდა 154 პირი, მათ შორის: აკაკი ბობოხიძე, ვიტალი კლიჩკო, ზაალ უდუმაშვილი, აკაკი გოგიჩაიშვილი, გიორგი ლიფონავა, პავლე კუბლაშვილი, ნიკა ტაბატაძე, დავით კიკალიშვილი, ზურაბ ქიაბერაშვილი, ელდარ შენგელაია, ნათია ბანძელაძე, ირმა ნადირაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ნიკა გვარამია, დავით კირკიტაძე, ბაიარ შაჰინი, ალექსანდრე ლუკაშენკო, ვიქტორ იანუკოვიჩი, სერჟ სარგსიანი, ალმაზბეკ ატამბაევი, ისლამ კარიმოვი, მეჰრიბან ალიევა, დონალდ ტუსკი, მანანა მანჯგალაძე, ზურაბ დარჩიაშვილი, იაკობ ზაქარეიშვილი, გიორგი ტულუში, შოთა მალაშხია, გიორგი კარბელაშვილი, გიორგი კანდელაკი, ალექსანდრე კვიტაშვილი.*

***2014 წელი** - სულ დაჯილდოვდა 4 პირი - ლავრენტი მანაგაძე, შეიხ-ულ-ისლამ გაჯი ალაჰშუქურ ფაშა-ზადე, ჯამლეტ ხუხაშვილი, რომან შაქარიშვილი.*

***2015 წელი** - სულ დაჯილდოვდა 5 პირი - გივი მარგველაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მიხაილ იაკობუს ლენტცე, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, ნოდარ ცინცაძე.*

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N15/10/02 2013 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისათვის დაჯილდოვდნენ:

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით:

ვიქტორ იანუკოვიჩი - უკრაინის პრეზიდენტი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი

ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო

ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები.

ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, თავდადებისა და თავგანწირვისთვის.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ:

***2003 წელი** - ჯონი ფირცხალაიშვილი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე*
***2004 წელი** - მამია ალასანია*
***2005 წელი** - 25 პირი, მათ შორის: დავით ზურაბაშვილი, თემურ ირემაშვილი, მერაბ ნიქაბაძე.*
***2006 წელი** - ირაკლი ქადაგიძე*
***2007 წელი** - 7 პირი*
2008 წელი** - 43 პირი, მათ შორის: თენგიზ გუნავა, გიორგი გრიგალაშვილი, **რომან შამათავა
***2009 წელი** - 45 პირი, მათ შორის: გიორგი ანწუხელიძე, ირაკლი ყიფშიძე, ლევან ტაბიძე, სოსო ღვინიაშვილი*
***2010 წელი** - 39 პირი, მათ შორის: ზაზა ქაია, თენგიზ გუნავა, **კოხტა კოდუა, ლევან ქარდავა**, გიორგი კალანდაძე*

№ 1168 2010 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით
დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის დაჯილდოვდნენ:

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

თენგიზ გუნავა	-	პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი
კოხტა კოდუა	-	პოლიციის მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივი-გამომძიებელი

ბიბეილ

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 995 2010 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

კანონიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი პროფესიონალიზმისათვის დაჯილდოვდნენ:

ეპატანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

ლევან ქარდავა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის II მთავარი სამმართველოს უფროსი.

მიხეილ სააკაშვილი

№1

ის დამსახურება, რისთვისაც წარდგენილია ჯილდოზე

კობტა კოდუა შინაგან საქმეთა ორგანოებში მსახურობს 2002 წლიდან, ხოლო დაკავებულ თანამდებობაზეა 2010 წლიდან.

პოლიციის მაიორი **კობტა კოდუა** მუშაობის პერიოდში ხასიათდება, როგორც შრომისმოყვარე, პრინციპული, ენერგიული, ერუდირებული, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი მუშაკი. დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ეკიდება მაღალი პასუხისმგებლობით. ხელმძღვანელობის მიერ მიცემულ დავალებებს ასრულებს დროულად და ხარისხიანად.

ქვეყნის უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, დეტექტივების სამმართველოს დეტექტივი-გამომძიებელი, პოლიციის მაიორი **კობტა კოდუა** წარდგენილია სახელმწიფო ჯილდოზე.

წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი

შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე-კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ზურაბ მიქაძე

მინისტრი ივანე მერაბიშვილი

" " დეკემბერი 2010 წ.

2011 წელი - 25 პირი
2012 წელი - 14 პირი
2013 წელი - 57 პირი, მათ შორის: გიორგი ბოკერია, ნიკოლოზ რურუა, გიორგი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, გრიგოლ ვაშაძე, გელა ბეჟუაშვილი, ლეონიდ კუჩმა, თეიმურაზ ჯანაშია.
2014 წელი - 37 პირი
2015 წელი - 1 პირი

გარკვეულ კითხვებს ბადებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაცემული ზოგიერთი ჯილდო. მაგალითად, ვახტანგ გორგასლის ორდენის საპატიო ჯილდოთი 2010 წელს დაჯილდოვდნენ პირები, რომლებიც დღეის მდგომარეობით გასამართლებულნი ან ძებნილნი არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნული ჯილდო 2010 წელს მიიღო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან ქარდავამ და სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ კოხტა კოდუამ. 2014 წელს ლევან ქარდავას სასამართლოს გადაწყვეტილებით განზრახ მკვლელობისთვის შეეფარდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კოხტა კოდუას დაკავებულების მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობისთვის შეეფარდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს ეძლევა უფლებამოსილება ჯილდოზე წარმდგენი ორგანოს შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დაჯილდოებულს ჩამოართვას სახელმწიფო ჯილდო. ჯილდოს ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს დაჯილდოებულის მიერ ჯილდოს შეურაცხმყოფელი საქციელი ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ამ უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევებს ვხვდებით მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. მაგალითად, 2004 წლის 23 აპრილს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით გენერალ რომან დუმბაძეს, რომელსაც ბრალი ედებოდა სახელმწიფო ღალატში, ჩამოერთვა მისთვის წარსულში გადაცემული სახელმწიფო ჯილდოები.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, 2013-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ჯილდოს ჩამორთმევის უფლებით არ უსარგებლია.

ჯერ გაცნობებთ, რომ არც ერთ დაჯილდოებულ პირს 2013-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ჯილდო არ ჩამორთმევია.

დაწერილია: 20 (ოცი) ფურცელი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

სხვა მასალები ამ თემაზე

IDFI-ის სამოქალაქო კონტროლის აქტივობები 2016 წელს | 25 იანვარი 2016